# ლომისი

**რ ე დ ა ქ ც ი ა:**
ტფილისი, ხელოვანთა სასახლე სერგიევის ქ. № 13. ტელ. 17—51.

სამი თვით 100 ათასი მანეთი
განცხადების ფასი: პირველ გვერდზე ნომპარელით: ორმოცდა ათი ათასი მ.; ტექსტის შემდეგ: ოცდა ათი ათასი მ.

კ ვ ი რ ა.
თებერვლის 11.
1923.

ფასი 10.000 მ.

№ 24. სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველ კვირეული გაზეთი № 24.


მწუხარებაში მყოფნი: დედა ანასტასია, დები ნინა და იულია, ძმა ივანე სინაურიძეები, სიძე სანდალა, დისწული გულხუნია გაჩეჩილაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას 11 თებერვალს წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე დანიშნულია მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

## ნატაშას

ორმოცი დღის პანაშვიდი. დაიწყება 1 საათზე.

## ა კ ა კ ი

1915—1923.

მხოლოდ რვა წელიწადი შესრულდა აკაკის გარდაცვალების შემდეგ.

და ჩვენ—თანამედროვე ქარიშხლიან ცხოვრების ბურუსში გახვეულთ გვეჩვენება, თითქო საუკუნეები ამშვენებს მის სპეტაკ სახეს.

და ეს იმიტომ რომ აკაკი სიცოცხლეშივე წარმტაც ლეგენდათ შეიჭრა ქართველი ერის შემეცნებაში და უკვდავების ნათელ შარავანდედით გაბრწყინდა მისი ლამაზი ჭაღარა.

და კიდევ: ეს რვა წელიწადი ხომ ანარეკლია იმ იმედებისა და მისწრაფების, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მომწიფდა ერის სულში, და ელოდა ახალ განათებას, მონობის ყველა ბორკილების დამსხვრევას და მშობლიურ მთების მწვერვალზე აღმართულ დროშას გამარჯვებულ ამირანისას.

და ამ რვა წლის მანძილზე, მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოს ბედი მრავალ საბედისწერო უფსკრულების პირად მიიძართებოდა, ყოველთვის ენთო იმედების გრძნეული ცეცხლი და ერთხელაც არ ჩამქრალა გზის გამშუქებელი რწმენის ჩირაღდანი.

ეს არის დიდი აკაკის ნათელი სული, რომელმაც იცის ჭეშმარიტი და მარტივი თქმა:

— „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“...

პოეზია ყოველთვის იყო და იქნება საქართველოს უძვირფასესი სამკაული, ხოლო აკაკის ჩონგურის სიმების ჟღერა მუდამ პირველი ხმა იქნება ქართულ პოეზიაში.

აკაკის სუბუქი ფრთებით გაფრენილი ლექსები მრავალ საუკუნეების სიმძიმეს გაუძლებს და ერის სულის მეფის თეთრი აჩრდილი ღვთიური ღიმილით შეხვდება ეპოქათა ახალ გათენებებს.

ამას დღეს ქვაც კი ღაღადებს, ჩვენმა მოქანდაკემ—იაკობ ნიკოლაძემ რომ გამოჰკვეთა.

ამაყად გაჰყურებს ეს ძეგლი მომავალ საუკუნეებს, როგორც სიმბოლო საქართველოს უკვდავი სულის.

და ის გარემოება, რომ აკაკი ჯერ კიდევ ღირსეულად დაფასებული და შესწავლილი არ არის, რომ გამოუცემელია მისი თხზულებათა სრული კრებული და მთაწმინდაზე მისი საფლავი ძეგლით დაუმშვენებელია,—ჩვენ ვერ გვაშინებს, ვინაიდან გვწამს, რომ საქართველო „არ მომკვდარა“ და პოეტის „დაფითა და ნაღარით“ გამოწვეული გმირები შესძლებენ ყველა ქარტეხილების თავიდან აშორებას და პოეტის წინაშე ვალის მოხდას.

აკაკის შემოქმედება მრავალ ფერებად გაიშალა მშობლიურ ნიადაგზე; ის მოდის ჩვენი ხალხის სულის სიღრმიდან და მასში ჰფეთქს და ენთება. აქ ჰპოვა პოეტმა უკვდავების ღვთიური მადლი და აქვე შეიმოსა ის დიდების შარვანდედით.

და ვისაც მშობლიურ ნიადაგზე გამაგრების აზრი სუროგატი ჰგონია, მან აკაკის მაგალითით უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ბევრი გვინახავს არამშობლიურ ნიადაგზე „აღზრდილი“ გადაგვარებული თაობა, რომელიც ათი სიტყვისაგან შემდგარ უცხო ლექსიკონით ცდილობს დაჰფაროს თავისი უნიადაგობა და ქართული კულტურის „ენამზეობას“ თვალებს ვერ უსწორებს.

მაგრამ ასეთი ხალხი ერის სულში ვერასოდეს ვერ იპოვის მცირე ადგილსაც კი და იგი ისე აღიგვება დედამიწის ზურგიდან, როგორც შარშანდელი თოვლი.

აკაკიმ იცოდა ეს და ამიტომ იყო, რომ ის მუდამ ყურს უგდებდა ერის მაჯის ცემას. მისი ჩონგურის სიმები მიბმული იყო ერის გულზე და შეთანხმებული მის ძგერასთან. ეს იყო ერთად-ერთი საშუალება, რომ მონობის კირთებს ქვეშ დაჭიმულ ერის ძარღვებში სისხლი აემოძრავებია და იმედების ელვით გაეშუქებია შავი ღრუბლებით დამძიმებული მშობლიური: „ცა ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“.

აკაკი არ შეუშინდა კომპრომისებს და უდიდესმა პოეტმა თავისი პოეზია დატვირთა დღიურობის მრავალ ანარეკლებით, ვინაიდან მაშინ ეს საჭირო და აუცილებელი იყო.

ეს უკარნახა მას საქართველოს ბედმა და პოეტმაც ღირსეულად ზიდა ეპოქის მიერ დაკისრებული მოვალეობა.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, აკაკი მაინც ბოლომდე დარჩა ქართული პოეზიის უდიდესი ქურუმი და თავისი ჩონგურის სიმების ჰანგზე აამღერა მთელი საქართველო.

მხოლოდ მისთვის შეთხზა ხალხმა ეპიტეტი:

ერის სულის მესაიდუმლე.

და ამ ღირსეულ სახელწოდებით იქნება გაბრწყინვებული საუკუნეების მანძილზე დიდი აკაკის თეთრი აჩრდილი.

**დონარ.**

## ჩვენი აკაკი

ამოგლიჯეთ მეცხრამეტე საუკუნეს სახელი—აკაკი და დაიკარგება სავსებით მისი მთლიანობა.

ამიტომ ძნელია დასწერო რამე ამ ადამიანზე.

არსებითად იგი ისტორიაა ამ საუკუნის.

და განსაკუთრებით ძნელია დასწერო რამ პოეტის გარდაცვალებაზე, რომელიც ეზიარა უკვდავებას.

მეოცე საუკუნეს შეუძლიან იამაყოს, რომ მეცხრამეტე საუკუნის დიდი პოეტი თვის მკერდზე მიაძინა, მაგრამ ჯერ ჯერობით იგი ვერ იამაყებს იმ პატივისცემით, რომელსაც იგი უწევს მას და სირცხვილის გამოსყიდვა შეუძლია მხოლოდ იაკობ ნიკოლაძეს თვის ქანდაკებით.

საუკუნემ, რომელმაც სამუდამოთ მოსტაცა ღიმილი მოხუცის სხეულს, შესძლო იგივე ღიმილი უკვდავებათ აღებეჭდა მის ქანდაკებაში.

მე ყოველთვის მეშინოდა აკაკის ბედის, ვიდრე ამ ქანდაკებას ვიხილავდი. ეხლა აღარ არსებობს იგი ჩემთვის.

დეე დაიგვიანოს მისმა შესწავლამ... მისი ნაწერების გამოცემამ.

მოვლენ ღირსეულნი და შესძლებენ ამ დაბრკოლებათა გადალახვას. და თუნდაც მთაწმინდის ნიაღვარმა მოიტანოს ქვეშ მისი საფლავი, აღმოჩნდებიან თავგანწირული მოხალისენი, რომელნიც მთიან გორებს გადათხრიან და აღმოაჩენენ ფირფიტას ზედწარწერით: „აკაკი“.

რვა წელიწადია მას შემდეგ, რაც გაფაციცებით თვალს ვადევნებდით აკაკის უკანასკნელ წუთებს.

რა არ განვიცადეთ მას შემდეგ.

რამდენი არა ჩვეულებრივი მოვლენა ჩაიმარხა დავიწყების უფსკრულში და ჩვენ დღესაც თვალ წინ გვიდგას ის დღეები.

სამი მანეთის ამარა დაბრუნდა იგი შინ, რომ საუკუნო განსასვენებელს მისცემოდა.

შინ ოჯახობიდან დეპეშა დახვდა— სასწრაფო დახმარებას სთხოვდენ ფულით.

და სიკვდილის აჩრდილი კარებში აჩხირული.

ვინ იფიქრებდა, რომ უკანასკნელ წუთებში მაინც არ უღალატებდა მხნეობა და სასოწარკვეთით არ დახუჭდა თვალებს?

მაგრამ ვიდრე შეეძლო სიტყის თქმა, იგი ერთგული დარჩა სიხალისის, ოხუნჯობის...

მისი გასვენება იყო პირველი აღტყინებული, გაერთიანებული, ეროვნული დემონსტრაცია.

ბევრი საშინელება განიცადა მან ცხოვრების გზაჯვარედინზე.

ბევრი მწვავე წუთები, ბევრი უსიამოვნება.

იგი ყოველივეს ღვთაებრივ ღიმილით უპასუხებდა.

თუ ილიამ იგრძნო წინა საუკუნეთა ცხოვრების სიმძიმე და მისი შუბლი მჭმუნვარების ღარებმა შეამკო,— აკაკიმ მხოლოდ ღვთაებრივ ღიმილით. დაიდალა ამაყი შუბლი და სიმძიმეს ქედი არ დაუხარა.

და ილიამ წიწამურის ველზე დანთხეულ სისხლით შეამკო თვისი საუკუნე.

აკაკიმ მხოლოდ ღიმილითააფერადა იგი.

იყო მწუხრი ამ ღიმილში: იყო უკმაყოფილება, ბედთან არ შერიგება,



ა კ ა კ ი
იაკობ ნიკოლაძის ქანდაკება

მაგრამ მაინც ღიმილი იყო და არა მჭმუნვარება.

და როდესაც მას მეტად ემწვავა სამარცხვინო მხარე დამონებულ საქართველოსი, ყველაზე უფრო თამამად და გულახდილად შესძახა: „ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო“.

ყველგან და ყოველთვის.

ყოველ დარგში ისმოდა აკაკის ხმა.

პოეზია, პროზა, დრამატურგია, საყმაწვილო პოეზია. კრიტიკა.

არ იყო უჩვეულო პოლიტიკაში გადაჩეხაშიც კი.

ყველაფერს თავისებურად,

გულუბრყვილოდ ხსნიდა.

და ყველაფერში პოულობდა იგი გამართლებას იმ ბეჭედის მეოხებით, რომელზედაც იყო ამოკვეთილი „აკაკი“. იგი მეცნიერების ლაბორანტორიებშიც კი შეიჭრებოდა ხან და ხან თავის პოეტურ მოუსვენრობით, და აკაკისებურად სწყვეტდა ყოველგვარ პრობლემას.

მოიგონეთ მისი ლექციები „ვეფხვის ტყაოსანზე“. და როგორც ყოველ დიდ ბუნებიან ადამიანს, აკაკისაც ჰყავდა მტრები სიცოცხლეში,

სხვაგვარად შეუძლებელი იყო.

მაგრამ არას დროს იგი არავის ღირსად არ ხდიდა, რომ რაიმე ანგარიში გაეწია,—რაც რა თქმა უნდა, უფრო აბრაზებდა მომირდაპირეთ. „ფინიებზე“ მაღლა არას დროს არ დაუყენებია მას თვისი მოწინააღმდეგენი.

აღსანიშნავია, რომ დღესაც სიკვდილის შემდეგაც, ზოგიერთები აკაკის სახელის ირგვლივ, ყოვლად მიუღებელ ატმოსფერას ჰქმნიან, მაგრამ მათვე საპასუხოდ ამაყად სდგას აკაკის ძეგლი სახელმწიფო ოპერის ბაღში და ვერას დროს ვერ გაუსწორებენ თვალს აკაკის ღიმილს ის პირნი, რომელნიც გაბედავენ მისი სახელის აუგათ ხსენებას

დღეს 8 წელი შესრულდა აკაკის გარდაცვალებიდან.

არავინ მისულა ამ დღეს აკაკის საფლავთან.

არავის დაუდაფნავს არც მისი ძეგლი.

შესაძლოა ამასაც ჰქონდეს თავის გამართლება.

**ადონის.**

## ლიტერატურული ხუთშაბათი

ხუთშაბათს, თებერვლის 15-ს ტრადიციული ხუთშაბათი გაიხსნება

## აკაკის

საპატივსაცემოდ. მონაწილეობას მიიღებენ:

კ. მაყაშვილი, ლეო ქიაჩელი, ი. გრიშაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია კოკი აბაშიძე, ოგოლი მუშა და სხ.

## ჩემი მოგონებები

I

გრიგოლ ვოლსკი

ოთხმოცდაათიან წლებში ქ. ბათომში თავი მოიყარა ქართველების საკმაოდ ფართო წრემ, რომელმაც კისრად იდო ბათომში ქართული საქმეების მოწყობა, ბათომის ქართულ ქალაქად გადაქცევა. აქ ერთობ ნარევი ხალხი იყო: ბერძნები ბლომად, ოსმალები და სომხები. ყველას უნდოდა ბატონობა და ბათომის ხელში ჩაგდება. მაშინდელი იქაური რუსობა ხომ ცნობილი შავრაზმელების პალმის და დეკანოზი რალცევიჩის მეთაურობით, ქართველების ძირიანად აღმოფხვრას ლამობდნენ ბათომში. ამ დროს ბათომი შედიოდა გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, რომლის გამგე იყო ეპისკოპოზი გრიგოლი (დადიანი), კაცი ბუნებით მჭერმეტყველობის ნიჭით უხვად დაჯილდოვებული, ამასთან დამჯერე და გამგონე კეთილი რჩევისა. ამ წლებში მე ვიყავ ეპარხიალური კანცელარიის მედივნად და როცა აღიძრებოდა საკითხი რაიმე ქართული საქმის გაკეთებაზე, მიჯერებდა და გულმხურვალეთ შეუდგებოდა მის მოგვარებას.

ბათომის წრე, რომელშიაც იყვნენ გრ. ვოლსკი, ივანე მესხი, ლეონიდ და აპოლონ ქიქოძეები, თეიმურაზ აგიაშვილი, მღვ. სვიმონ თოთიბაძე და სხვ. მუყაითად შეუდგა მუშაობას. ამ წრის სულის ჩამდგმელი იყო გრიშა ვოლსკი. დასახელებულ წლებში ქართველობა ძლიერ შევიწროვებული იყო განსაკუთრებით რუსთა და სომეხთაგან. წარმოიდგინეთ, არ იყო, ასე გაშინჯეთ, ქართული ეკლესია. დეკანოზი რალცევიჩი არ აძლევდა ქართველ მღვდელს თოთიბაძეს ქართულად წირვის ნებასა. არ იყო ადგილი, რომ კვირა-უქმე დღეს ბათომელ ქართველობას ერთად მოეყარათ თავი; ხანდისხან ქართული წარმოდგენა თუ იქნებოდა, ან წელიწადში ერთხელ ნინოს დღეობის გადახდა დიდის ზეიმითა, აი ამ დროს თუ ნახავდა კაცი ერთად თავმოყრილს ქართველობასა. ამ გარემოებამ აიძულა მაშინდელი ქართველობა აეშენებინათ საკუთარი ქართული ეკლესია; ეპარქიალურმა მთავრობამ ხელი მოუმართა; ქალაქმა მისცა შუა ქალაქში 1200 ოთხ. საჟ. ადგილი; ჩაიყარა საძირკველი, რომელიც აკურთხა არქიმანდრიტმა ამვროსი კავკასიძემ, ცნობილმა სვანეთის მისიონერმა, რომელმაც სვანეთიდან სკანდალით გამოისტუმრა გრაფინია უვაროვისა, მძარცველი სვანეთის ძვირფასი ისტორიული განძეულობისა. მაგრამ პალმს, რალცევიჩს და მათს შავრაზმელ დამქაშებს არ ეძინათ, სურდათ ეს ძვირფასი ადგილი წაერთმიათ, ისევ ქალაქისათვის დაებრუნებინათ, მაგრამ ცდამ მუქთად ჩაუარათ.

ეს არაფერი. ბათომელ ქართველებს წინ ედოთ უფრო დიდი და საშვილიშვილო მისიის შესრულება. ეს იყო ქალაქის არჩევნები.

ძნელი წარმოსადგენია, რა ჯაფა, შრომა დასჭირდებოდა ბათომის ქართველობას საზოგადოდ და კერძოდ თვით ვოლსკის თავისი თავგანწირული ამხანაგობით საქალაქო არჩევნებში გამარჯვებისათვის! ეს იყო და ეს, ქართველობამ ძირი მოიმაგრა და მას უკან დღემდე ბათომს განაგებს ქართველობა. მიზეზი ამისი იყო და არის გრიგოლ ვოლსკი, რომელსაც შინაურობაში „გრიშას“ ვეძახდით.

უნდა მოგახსენოთ, რომ გრიგოლი იყო იშვიათი ენერგიის ადამიანი, პირდაპირი, მტერთან ბრძოლაში გულადი, მოურიდებელი, გამჭრიახი სიტყვისა, თავდადებული მამულიშვილი და უანგარო პატრიოტი. მას ეკლესიის საქმეც კი აინტერესებდა იმდე-

ნად, რამდენადაც იგი იყო ერთად შემკრები ქართველობისა; იგი ცდილობდა ქართველობისათვის ერთად მოეყარა თავი და შეექმნა ძალა ერთობისა. იმისვე მხნეობას ეკუთვნის კულტურული დაწესებულების—ქართული სკოლის უკეთესად დაყენება და განვითარება, ცდილობს მომავალი თაობის უკეთესად აღზრდას, ცდილობს გაალვიძოს ქართველობაში თვისი ვინაობის პატივისცემა, სამშობლო ქვეყნის სიყვარული და მისთვის თავდადება.

ვოლსკიმ სტუდენტობაშივე იჩანა თავი: მოსკოვში მან შეადგინა ქართველთა სათვისტომოს ორგანიზაცია, რომლის სულის ჩამდგმელი იყო გრიგოლი. დღევანდელი ბათომი მისი შექმნილია, მისი პირმშო შვილია. გრიგოლი გაიზარდა იმერეთში, დედა მისი ქართველი იყო, შეასრულა ქუთაისის გიმნაზიის კურსი და შემდეგ წავიდა მოსკოვის უნივერსიტეტში, გაათავა საექიმო ფაკულტეტი, მაგრამ არ ექიმობდა. გრიგოლი მოღვაწეობდა ბათომში ასე თერთმეტ-თორმეტი წელიწადი. 1907 წ. მიატოვა ბათომი და ჩამოვიდა თბილისში, სადაც ქართულ გიმნაზიაში ასწავლიდა ქართულს ენასა. იგი ღრმა მცოდნე იყო ქართულისა, იღებდა მონაწილეობას ქართულს ლიტერატურაში და ცნობილი იყო, როგორც პოეტი „**უმწიფარომძის**“ ფსევდონიმით. მის კალამს ეკუთვნის ბევრი მშვენიერი ლექსი, სხვათა შორის-„შენ გეტრფი მარად“, რომელსაც საქართველოს ყოველ კუთხეში მღერიან.

ტფილისში გრიგოლმა სულ ორი წელიწადი იცოცხლა, გარდაიცვალა ლვინობისთვის 5-ს 1909 წ. მისი სიკვდილი და მოღვაწეობა აღნიშნა ალმანხმა—„ქართველი ერი“, რომლის № 1 გამოვიდა 11 ოკტომბერს 1909 წ. ვოლსკი ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე გამოაკლდა ქართველთ მოღვაწეთა მცირე გუნდსა.

**სოფრომ მგალობლიშვილი**

# ჩვენი მიმდინარე მწერლობა

I.

**კულტურული საუნჯე.**

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი დიდი კულტურული საუნჯეა იმ დროს როცა, ჩვენი პოეტის ვ. რუხაძის სიტყვით:

„თვით დედამიწა გადაცდა ორბიტს
და ახლა იგი ბეწვზე ჰკიდია“.

ეს კულტურული საუნჯე თვალს უსწორებს თანამედროვე სინამდვილეს, პილატესავით ხელს არ იბანს, „ტკბილი ხმებისთვის“ არ იცლის, იკრებს მთელ თავის სულიერ ძალებს „ისტორიული უღელტეხილის“ გადასალახავათ.

ეს უნდა იყოს და იქნება კიდეც დასაყრდნობი წერტილი ჩვენი მიმდინარე მხატვრული მწერლობისათვის.

მეშინია, ეს არ ჩამომართვან პროპაგანდათ. მხატვრული მწერლობა, ხელოვნება არ ითმენს პროპაგანდას, სრულიად არ არის მისთვის ეს საჭირო. იმისთვის საჭიროა „უკვდავების წყარო“, და ამას ის ვერ იპოვნის სინამდვილის გარეშე, რაც უნდა „შუაღამის რკლებში“ იყოს გამომწყვდეული ეს სინამდვილე.

— მე, ცოცხალ ადამიანს მივიწყებდი და ჩემით მხოლოდ სარგებლობდი რაღაც განყენებული სილამაზის ძიებაშიო,—ეუბნება მხატვარს ცოლი იბსენის ერთ ნაწარმოებში.

ამ საყვედურს ეტყვის საქართველო ყოველ მხატვრულ კალამს, რომელიც ეტანება განყენებულ სილამაზეს. ასეთი სილამაზე არ არსებობს. და თითონვე აღიარებს ბოლოს თავისი შემოქმედების უნაყოფობას ის, ვინც ამისთანა ძიებას მოანდომებს თავის ნიჭს. ის ვერ შექმნის ხელოვნების უკვდავ ღირებულებებს, რაც უნდა ნიჭიერი იყოს.

„ზეკაცობაა“ საჭირო მიმდინარე მწერლობისათვის, რომ ის არ გაექცეს სინამდვილეს. ამ მხრივ ის იჩენს კიდეც „ზეკაცობას.“ არა ჩვეულებრივი რწმენით, იმედით მიაქვს მძიმე ჯვარი სინამდვილის გოლგოთაზე. აქ დაუღალავობა ემჩნევა კავშირის გარშემო თავმოყრილ მწერლებს.

— „მინდა გავგიჟდე, ცას ვესროლო
სულის ანთება
და გადავბუგო შუა ღამე ელვის
შანთებით.

— „და ჩვენ გვსურს ისევ ვთვრებოდეთ ალით
და ცეცხლი იყოს კერპი სულისა…
და ჩვენ ვაახლებთ ისევ იმედებს,
გვსურს გავარღვიოთ მაღალი ქსელი“…

— „მე კი ხვალისთვის დღევანდელსა ვლეწ,
და მაინც ახალს ველი… სულ ველი“…

— „ფერისცვალება მოვა მზიანი,
თვით სიმახინჯე გალამაზდება
და დაფასდება ადამიანი.
ელექტრო მზესთან წაილებს ბარათს,
ფოლადის განცდა გადაჰფერავს სულს:
და ხატებს სრულს მივწვდებით მარადს…“

ეს ერთი მაჯის ცემა ისმის მიმდინარე მწერლობაში. ამ იმედში, რწმენაში, „სულის ანთებაში“, „ფოლადის განცდაში“ „ახლის მოლოდინშია“ გადგმული მისი ფესვები. ამითია „გასხივოსნებული“ მისი სული, „სული რომელსაც შეუძლია ეზიაროს: შოთას, ნ. ბარათაშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვა ჩვენი კულტურის დიდებულ მოღვაწეთა მადლს.“ ამ ზიარებაშია მისი „უკვდავების წყარო“, როგორც სამართლიანათ შენიშნავს „ლომისის“ მოწინავე (№ 20) „ჩვენი მწერლობა წარსულთან კავშირის გაუწყვეტლათ მოგვცემს ახალ მიღწევებს, იტყვის ახალ სიტყვას“…

მაცდურია თანამედროვე ხანა. ის აცდენს ახლანდელ მწერალს, როგორც ეშმაკი აცდენდა უდაბნოში იესო ქრისტეს: სასწაული გვიჩვენეო, ეუბნება, დაგვანახვე ჯერ არ ნახული, გაგვაგონე ჯერ გაუგონარი, მოგვეცი ისეთი სიახლე, რომელსაც არა აქვს წარსულთან არავითარი კავშირიო. ეს იქნებოდა კილდეზე გადავარდნა მიმდინარე მწერლობისთვის. ვინც ახალ მიღწევებს ეძებს წარსულისკენ ზურგის შექცევით, ის ვერაფერს ვერ მიაღწევს. წარსულისგან, ჩვენი დიდებული აჩრდილებისგან ნაანდერძევი კვერთხით მოახდენს ნამდვილ სასწაულს მიმდინარე მწერლობა. ამ კვერთხით გამოადენს წყურვილის მომკვლელ წყალს გაქვავებული სინამდვილისგან. ამითი გადააქცევს სიმახინჯეს სილამაზეთ.

მაცდური დიდია. ზოგიერთი მწერალი ყურს უგდებს იმის ჩურჩულს, როგორც ლერმონტოვის თამარი უგდებდა ყურს მაცდურ დემონს „შუაღამის სიჩუმეში“. ზოგიერთს ენატრება „ვარსკვლავების ზედა“ სივრცეებში ასვლა და იქიდან ქვეყნიერებაზე გამეფება. ზოგიერთს კლდის პირზე ფეხი უცდება „ახლის“ ძიებაში. აქა იქ ძველ ნაცნობებსაც კი ეტყობათ სიმების დაჭიმვა, არა ბუნებრივობა, თავის თავზე ძალდატანება. მაგრამ ეს არის მხოლოდ მიხედვ-მოხედვა საერთო გზაზე და არა გზის გაბრუნდება.

მართალია ერთფეროვნება ვერ დაამშვენებს ვერც ერთ მწერლობას. ერთი მაჯის ცემა, მართალია, ქმნის ჩვენი მიმდინარე მწერლობის ერთფეროვნებას. ზემოთ მოყვანილ სტრიქონებს გამოუცდელი თვალი მიიღებს ერთი კალმიდან გამოსულ სტრიქონებათ. პიროვნული სახე როგორღაც დაბინდულია თანამდროვე პოზიაში. სახეების, ფერების სხვა და სხვაობას ვერ ვამჩნევთ აქ ჯერ. ეს დიდი ნაკლია, რა თქმა უნდა. მაგრამ ეს არის დროებითი ნაკლი. მიმდინარე მწერლობა ჯერ ძირს იდგამს, ფესვებს იმაგრებს, კვერთხს იმარჯვებს ხელში. გამაგრებულ ფესვებზე ამოვა ტან მაგარი მცენარე, რომელიც ფართოთ წაილწამოილებს თავის შტოებს. მაშინ აღარ იქნება ასეთი ერთფეროვნება, ასეთი შეკუმშვა სხვა და სხვა მწერლების სახეების. თვითეული მათგანი გამოაშკარავებს თავის მწერლურ პიროვნებას, და გამოჩნდება ერთ ძირზე ამოსული სხვადასხვაობა.

**უცნობი.**

# პატარა ფელეტონი

## მთის ყვავილი

ჩემი სამშობლო მიუვალი მთაა ნაძვნარით შემოსილი.

ხრამის პირს ვარ გამრზრდილი, იქ სადაც ცივი წყარო გამოწანწკარებს და თავ-ბრუ დახვეული ქვესკნელისკენ ეშვება.

გარშემო იონჯას მწვანე ხავერდი მოვლებია და მისი მოღერებული ყლორტები ჩემს დამცველს ფოთლებს მოყვრულად შელამუნებიან.

მთვარეს ხშირად მოუბნევია ჩემთვის მისი ჯადოსნური სხივი.

მზის სინათლეზე ალვიზარდე, მაგრამ გაშლით მთვარის მიზნედილ შუქზე ვარ გაშლილი.

იმიტომაც ვარ ესე ნაზი და წარმტაცათ ფერ მიხდილი.

წმინდა ხალასი, უმწიკვლო ცვარი მარგალიტად თავსა მჯდომია და მის გამომაცოცხლებელს სიგრილეზე ტანს სანეტარო ჟრუანტელი მიგრძვნია.

იადონის მომხიბლავი გალობით ხშირად დამთვრალ-ვარ და ეშხ-მორეულს ნაზად თავი დამიხრია.

მთის სანეტარო ნისლი ბევრჯერ მწვევია და მეც იგი საქორწილო ლეჩაქივით კოხტად მომიბურავს.

ნაზი ნიავი მრავალ-ჯერ მოფრენილა თავისი მსუბუქი ფრთით და ჩემი აკვანი საამურად ურწევია.

მსმენია ჰექა-ქუხილიც შემაზრზენი მთა და ბარისა.

ელვა ჩემს ახლო ვარჯიშობდა ცეცხლის მახვილით.

წარღვნისებური მსხვილი წვიმაც ბევრი მომხვედრია და ჩემი ტურფა კაბა, გარემო ფოთლები, მთის უბიწო ტალახითაც გამსვრია.

მაგრამ უმანკო წყაროს და სპეტაკ ცვარს წვიმის შემდეგ ჩემთვისაც დაუბანიათ პირი. და ჩემი კაბისთვისაც ლაქა შოუშორებიათ.

მზის მხურვალე სხივებზე კი კვლავ წელში გავმართულვარ და უფრო მეტის თავ-დავიწყებით მომიფენია გარშემო სურნელება.

ჩემი სამყოფიდან უშველებელი სანახავი გადამშლია თვალწინ.

მთელი წარმტაცი ბუნება ჩემი კუთხისა: „ცა,—ფიროუზ, ხმელეთ—ზურმუხტი“.

და გამიგია, რომ იქ, ქვევით ცხოვრობდნენ ადამიანები.

ამბები ნიავს მოუტანია, ნისლსაც შეუტყობინებია ცოტა რამე და ღრუბლებსაც ჩაუწვეთებიათ ზოგ-ზოგი.

— რომ ცხოვრობდნენ და სჭამდნენ ერთმანეთს.

ცხოვრებდნენ და კაფავდნენ ტყეებს, ამტვრევდნენ კლდეებს, ხვრეტდნენ მთებსა. ჩვენ კი ყვავილებს გვთხრიდნენ ძირში, ან გვწყვეტდნენ ხელით.

მათს უნდილს ხელს ჩემამდისაც მოუღწევია. აგერ თიხის ჭურჭელში ვარ ეხლა, ქვეშ წყალი მიყენია.

ვაჟკაცის ხელმა მომწყვიტა და ქალის ნაზ, სალუქ ხელს გადამცა.

ქალმა მომეფერა და გულთან მიმიკრა.

მე გამოვეც სურნელება და ტურფა მივბნიდე.

ო, რამდენი საიდუმლოება ამ გულისა შემეძლო გადმომეცა!

მაგრამ მე არ მიყვარს ადამიანები არ იციან რა არის თავისუფლება.

უთუოდ იმიტომ არ აფასებენ… სხვისას მაინც.

მე კი რითი უნდა ვიძიო შური?

—ჩემის სურნელობით.

იგი მთის არის, თავისუფალი.

ამ სურნელების ჰარმონია მთელი გულსაკლავი მუსიკაა, მოთქმაა შემაზრზენი თავისუფლებაზე.

და ვინაც ერთხელ იგი იყნოსა—იბნიდება.

ეს არის ჩემი, ჩვენი ყვავილების შურის ძიება.

ჩვენ მოკეცილნი ვართ, მოწყვეტილნი, მაგრამ ჩვენს უკანასკნელს სურნელებას სად წაუვლიან?

ჩვენ განგვიცდია მთის საარაკო მყუდროება:

როდესაც ორბის თავისუფალი ფრთების ქნევა გაისმის.

**შალვა დადიანი.**

# ოპერის კვირეული

**„კნიაზ იგორ“.**

ალექსანდრე **ბოროდინი** ისეთი დიდი მოვლენაა რუსულ მუსიკის სამთავროში, რომ შესაფერისად მიგვაჩნია ქართველი მკითხველის გულისყური შევაჩეროთ მის საუკეთესო ნაწარმოებზე—ოპერა „კნიაზ იგორ“-ზე. ჩვენთვის ეს მით უფრო საგულისხმიეროა, რომ ბოროდინი მამით ქართველია (თავადი იმერეტინსკის შვილია), ხოლო მისი ოფიციალური გვარი ბოროდინი—დედის გვარია.

გლინკას „ჟიზნ ზა ცარია“-ს მისივე „რუსლან და ლიუდმილა“-ს პირველი მოქმედების შემდეგ „კნიაზ იგორი“ ისეთი ძლიერი მიღწევაა, რომელსაც მეტოქეობას რუსულ საოპერო მუსიკაში სხვა ნაწარმოები ვერ გაუწევს. ეს ოპერა კიდევ მით არის შესანიშნავი, რომ აღმოსავლური იერის მუსიკამ მასში ჰპოვა ულამაზესი გამომეტყველება და ამ მხრივ იგი „რუსლანზედაც“ წინა სდგას.

ხოლო, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ ბოროდინი ხელოვნების ამ დარგში შემთხვევით, რომ იტყვიან „სხვათა შორის“ — ჰმოღვაწეობდა,—მაშინ თვალნათლივი იქნება, თუ რა უდიდესი ხელოვანი და შემოქმედი იყო იგი. უპირველეს ყოვლისა ბოროდინი იყო პროფესორი ქიმიკოსი; მას აქვს მრავალი გამოკვლევანი; ზოგიერთი მათგანი მსოფლიო მეცნიერების მნიშვნელობისაა. მაშასადამე, უმთავრესს ნაწილს თავისი სამუშაო დროისას იგი ანდომებდა სამეცნიერო მოღვაწეობას. მუსიკა მისთვის, სჩანს, იყო დასვენება.

ამით აიხსნება, რომ „კნიაზ იგორ“-ს იგი სთხავზდა 18 წლის განმავალობაში და მაინც ისე განშორდა ამ წუთისოფელს, რომ ეს ნაწარმოები თითქმის დაუმთავრებელი დარჩა, უმთავრესად-კი ორკესტრის მხრით, ოპერა რიგზე დალაგებულ და დამთავრებულ იქნანიკოლოზ რიმსკი-კორსაკოვისა და ალექსანდრე გლაზუნოვის მიერ. წარმოიდგენით, მთელი უვერტიურა გლაზუნოვის მიერ არის შემუშავებული იმ ძირითადი თემების მიხედვით, რაც ავტორს ნაწყვეტად ჰქონდა ქაღალდის ნაგლეჯებზე აღნიშნული. ასევეა ზოგიერთი სხვა ადგილიც.

ამის მიუხედავად, ოპერა მთლიანობის იერით მოსილია და მას სტილის სიჭრელე არ ეტყობა. ოპერის ლიბრეტო შედგენილია ცნობილი ხალხური პოემის მიხედვით: „თქმულება იგორის ლაშქრობაზე“.

ბოროდინი გამგრძელებელია გლინკას ტრადიციისა. იგი შესანიშნავი მელოდისტია და მუსიკალური სახეების მკაფიოდ ამსახველი. ამასთანავე იგი დიდი ჰარმონიზატორია და ტეხნიკოსი. ამის წყალობით—მისი მუსიკალური ფორმა სრულიად შეერთებულია მოქმედების მომენტს ან მომქმედი პირის ამა თუ იმ სულიერ მოძრაობას.

გარეგანი სახე და მუსიკალური ფიგურაცია ყოველთვის ეკილოკავება

# ლიტერატურული ნიჰილიზმი

3.

როგორ წარმოიშვა „რუსეთუმეს“ ტიპი საქართველოში? რამ შეუწყო ხელი ხალხის სულიერ დაკნინებას, თავის თავის უარყოფას და ეროვნულ დაცემას?

როგორც იცით მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ძირეულად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა. მაგრამ ახალი, ხალხისთვის უცხო, უჩვეულო წესწყობილება საფუძვლიანად მალე ვერ დამკვიდრდა. საყოველთაო გამოურკვევლობა, შფოთი და მღელვარება სუფევდა. ხალხში შიში, ძრწოლა, წინააღმდეგობა იყო. საქართველოს გაბატონებულ წრეებში საშინელის დაუნდობლობით ებრძოდენ ერთიერთმანეთს პირად, ჯგუფურ თუ საგვარეულო ინტერესების უპირატესობის მოსაპოებლად. ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გონება დაბნელდა და შეირყა, მისი ძალები დაიბნენ და დასუსტდნენ.

მაღალ საზოგადოებაში ბრძოლა იყო ეგრედ წოდებულ ორიენტაციისათვის. ზოგს გულით უნდოდა რუსეთის ძლიერების გამტკიცება და ამის დაკვალად ამუშავებდა თავის ძალღონეს. ზოგი სპარსეთისკენაც იხედებოდა—ხსნა ეგებ იქიდან მოგვევლინოსო. ზოგიც საქართველოს განთავისუფლებისათვის ლოცულობდა. არ უნდოდა არც ჩრდილოეთის თვითპყრობელური ჟანდარმი, არც სპარსული მონობის საშინელება და ემხრობოდა თავისუფლების მაძიებელთა მიერ ამართულ დროშას.

ამ არეულ-დარეულობამ, შინაურმა შფოთმა, ერთმანეთის გადაკიდებამ და გაუტანლობამ ნება მისცა ყოველ პოლიტიკურ და ადმინისტრატიულ ვიგინდარას ავად ეხსენებია ქართველთა სახელი და ისტორია, ბინძური ხელი ეფათურებია ხალხის გულში და მისი სინდისის გაბიაბრუება მოენდომებია. მაშინდელმა საქართველოს ერთ-ერთმა გამგებელმა და საიდუმლო კომისიის (აჯანყების მიზეზთა გამოკვლევისათვის) თავმჯდომარე ლიტვინოვმა სულ დაამდაბლა, თავის გუნებაში, ქართველობა, დასცინა, ერის სახელი წაართვა, ველურებს დაადარა და თავის მომვლინებელთ აუწყა: საქართველოს მცხოვრებთათვის სამშობლოს სიყვარული უცნობი და გაუგებარია, ქართულ ენაში სიტყვა სამშობლოც კი არ არსებობს: ერთსულობა და თანხმობა არ იციან რა არის, პირადი ინტერესით არიან გამსჭვალულნი, ასეთი ხალხი ახალ ხელმწიფეს როგორ უერთგულებდა, როდესაც თავის საკუთარს არ ინდობდაო. *)

შინაურმა მტრობამ ყველგან თავი იჩინა. ღალატმა ფრთა გაშალა. ფულით და ჩინით მოსყიდული ფეოდალური და სხვა გარეწარი ელემენტები დაწრწოდენ საქართველოში და თავის ბნელ საქმეებს აწყობდენ. მტრობით დაბრმავებულთ და უკმაყოფილოთ აღარაფერი აგონდებოდათ, შურს იძიებდენ სამშობლოზე, ყიდდენ ხალხსა და თავისუფლებას. ბევრი მათგანი, მაგ. ქართლის ერისთავები, „შინაურ ძმა-ძმის მკვლელ“ ომს აჩაღებდენ და სისხლით ღებავდენ მშობელი ქვეყნის მთასა და ბარს. მრავალი „სისხლის ჯვარის“ მოშლოდინე ყველაფერზე იღებდა ხელს და სულმდაბლად შესცქეროდა თვალებში თვითპყრობელობის გენერლებს, რათა მრავალმოწყალე ხელმწიფისაგან დაუჯილდოვებული არ დარჩენილიყო. გასული საუკუნის დამდეგს ჩვენს ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა სისხლის ჯვარს. ალ. ფრონელის გადმოცემით, რომელიც „აქტებს“ ემყარება, მისი შოვნის სურვილმა ისე მოიცვა მრავალის ჭკუა-გონება, ზოგს ისე დაუბნია დავთარი, რომ ამ ჯვარის ამბავმა სპარსეთის მაშინდელ ყაენის ყურამდისაც კი მიაღწია. შაჰი გაოცებულიყო, ეს რა თილისმა მოუგონია გიაურ-რუსებს, რომ სულ ერთიანად გადარიეს გურჯისტანის ხალხიო. რა თქმა უნდა, თვით ხალხი აქ არაფერ შუაში იყო.

აი ასე დაეცა საზოგადოებრივად პოლიტიკური ზნეობა ქერთველი საზოგადოების ფართო წრეებისა. ასეთი იყო აშკარა ძალმომრეობასთან ერთად მომსყიდველის „სისხლის ჯვარის“ პოლიტიკა თვითპყრობელობისა, რომლის უდიდესი დამპყრობი და დამამშვიდებელი აგენტი, შთამომავლობით ქართველი, მხოლოდ გადაგვარებული, მთავარმართებელი თავადი პავლე ციციშვილი იყო. იგი ცეცხლითა და მახვილით ამყარებდა ახალ წყობილებას, თუმცა საქართველოს „თავის სამშობლოს“ ეძახდა და განგებას მადლობას სწირავდა, რომ წილად არგუნა ამ ქვეყნის მოვლა-პატრონობა.*)

ძალა აღმართსა ხნავსო—ნათქვამია. და ახლად შემოსულმა წყობილებამაც თანდათანობით იწყო მომაგრება ძველს ნაციონალურ — სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნანგრევებზე. აჯანყებათა ჩაქრობის და მღელვარების დაცხრომის შემდეგ მთელი სისტემა შემუშავდა ერის გადასაგვარებლად და ყოველგვარი ეროვნული ცხოვრების ნიშანწყალის მოსასპობად. ჩუმი ბრძოლა, ინსტიქტიური წინააღმდეგობა გრძელდებოდა, მაგრამ შეუძლებელი ხდებოდა მოზღვავებული ძალების დაძლევა, ეროვნული ვითარების ნიშან-კვალი ისპობოდა და ენით გამოუთქმელი ტანჯვა-წვალებით ეღებოდა ბოლო ნაციონალურ თვითმყოფობას და თავისებურობას.

ქმრთველობაში თანდათან დიდი ფსიქოლოგიური გადატეხის პროცესი სწარმოებდა. ამ ხანაში „შეგნებული ქართველის გული თითქოს ორად გაიყო, ერთი ეგუებოდა და ემონებოდა გარემოებას, მეორე თავისუფლებას ეძებდა, ოცნებით იკვებებოდა. ქართული აზროვნება გაბრუებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ძალა, რომელიც მისი შეგნების წინ იდგა, უჩვევ ზომისა იყო. და იყო მომენტი, როდესაც ქართველ კაცს თითქოს თავის-თავის დავიწყება სწყუროდა.*) როგორც ვთქვით, საერთო ნიადაგი ასეთი მოვლენის წარმოსაშობად თანდათან მზადდებოდა რუსეთის ბატონობის გამტკიცებით და ამავე დროს ქართულ ნაციონალურ-კულტურული საზოგადოებრივობის დაუძლურებით და დაშლით. ახალი პოლიტიკური ბატონი ყველაფერს იყენებდა გადაგვარების იარაღად. დამოუკიდებლობასთან ერთად გაუქმებულ იქმნა ყოველგვარი ორგანო ნაციონალური ცხოვრებისა. თავისუფალი სარწმუნოებრივი ცხოვრება მოისპო. სამართალს აწარმოებდენ გაუგებარს ენაზე და გაუგებარი წესების მიხედვით. საზოგადო მდგომარეობამ დაასახიჩრა ქართული ოჯახი და შერყვნა მოქალაქობრივი და ზნეობრივი ურთიერთობა. გამარუსებელი, გადამგვარებელი პოლიტიკა დააწვა შკოლას—ახალგაზრდობის განათლების და ხასიათის ჩამოყალიბების უდიდეს იარაღს.

ბავშები ბლომად და ხალისიანად მიჰყავდათ რუსეთში სხვა და სხვა სამხედრო სასწავლებლებში კორპუსებში აღსაზრდელად. ნამდვილად აქ ისინი უმეტეს შემთხვევაში ავადმყოფდებოდენ ფიზიკურად, ჰლექიანდებოდენ სულიერად, ბავშვობიდანვე მოშორებული მშობლიურ კერას, ივიწყებდენ ენას და სრულიად გადასხვაფერებული და დამახინჯებული უბრუნდებოდენ სამშობლოს. უნდა ვთქვათ, რომ ახალი მმართველობა განსაკუთრებულ პედაგოგიურ გულმტკივნეულობას იჩენდა, არ ზოგავდა ხერხსა და საშვალებას, რომ მაშინდელს დავარდნილს გულგრილ და გულგატეხილ საზოგადოებაში ბავშებისთვის „განათლება“ მიეცა. იყო ჩვენს ცხოვრებაში ერთი ხანა, როცა ჩვენი მოჭირნახულე მმართველობა თითონ ეძებდა ბავშებს შკოლაში შესაყვანად და აღსაზრდელად.

რასაკვირველია, ასეთი სწავლა, ძალიან შორს ულიდა საზოგადო მოღვაწის აღზრდას, სამშობლოს და ხალხის გულშემატკივარის გამოჩენას. იგი ამზადებდა მხოლოდ მოხელეს, რუსის მმართველობის მოსამსახურეს. თავის თავად განვითარებისათვის, განათლებისათვის, საზოგადო მოღვაწეობისათვის არავინ იტკივებდა თავს. შემუშავდა და გაძლიერდა ერთგვარი ოფიციალური სულთასწრაფვა, სამოსამსახურო, სერვილისტური მიდრეკილება, რომელიც ერთხელ დააჩნდა სულს და გადმოყვა შემდეგ თაობათა სულიერ მემკვიდრეობასაც.

სამსახური გახდა ყველას მისწრაფების და თაყვანისცემის საგანი. „საზოგადოობა ჩვენი მიეცა სრულიად სამსახურსა. ჩვენი ყმაწვილკაცობა თავს იმტვრევდა ამისათვის. დედმამა აძალებდა შვილსა, უფროსი ძმაუმცროსსა“.

მიზეზი ამ სამსახურით გატაცებისა ერთის მხრით იმაში მდგომარეობდა, რომ უსამსახუროდ საზოგადოებაში არ იყო ჩინი, დამსახურება, დაწინაურება. წარმოიდგინეთ, თვით მაშინდელ ბრწყინვალე წოდების—თავადაზნაურობის წრეშიც კი, ვისაც ჩინი არ ქონდა, ხმა არ ქონდა წოდებრივ დაწესებულებაში. ჩინოსანი სარგებლობს ყოველგვარი უპირატესობით. ჩინი და სამსახური იფარავდა ადამიანს ჩაგვრისა და შეურაცყოფისაგან, რომელსაც აყენებდა მთავრობა და თითონ საზოგადოება უჩინო და უსამსახურო ადამიანს. გაჩინოსნებას, გაჩინოვნიკებას ნატრულობდენ ყველა წოდების და მდგომარეობის წარმომადგენელნი, როგორც თავადაზნაურნი, ისე მოქალაქენი და მდაბიონიც. ჩინი ყველას ელანდებოდა, ვინაიდან ის იძლეოდა ძალას, პატივს და გავლენას საზოგადოებაში. ხოლო ჩინს იძლეოდა ხანგრძლივი სამსახური და უფროსების წინაშე მუდმივი დაჩოქება.

კერძოდ ჩინის მაშინდელ მნიშვნელობას ეხება ალ. ფრონელიც თავის „მთიულეთში“ (გვ. 52). ბატონყმობის. დროს პირველი ჩინი, ეხლა სასაცილოდ გამხდარი კოლეჟსკი რეგისტრატორობა კაცს პირადად აზნაურშვილებდა და ანთავისუფლებდა, როგორც გადასახადისაგან, ისე გაროზგვისაგანაც. ეს იყო მიზეზი, რომ კოლეჟსკი რეგისტრატორობისათვის თავპირს იმტვრევდა წვრილფეხა მოხელეობაო.

სამსახურით გატაცებას შეიძლება სხვა კიდევ უფრო ძლიერი მიზეზი ჰქონდა. ეს იყო ჩვეულებრივი ნივთიერი ხელმოკლეობა და შეძენის, გამდიდრების სურვილი სამსახურში შესვლით. შეძლებული, დამოუკიდებელი ცხოვრება უმრავლესობას არ ჰქონდა და სამსახურით ცდილობდა თავის საქმეების გამოკეთებას. ამისთვის კი აუცილებლად საჭირო აყო რუსული. აქედან მუდმივი ზრახვა: „როგორმე

*) იხ. Акты, сост. Кав. Арх. коммиссией т. III. გვ. 104. აგრეთვე ალ. ფრონელის "მთიულეთი" 1804 წ. გვ. 351—2.

*) ალ. ფრონელი „მთიულეთი“ 1804 წ. გვ. 77,274.

*) თხზულებანი არჩ. ჯორჯაძისა, წიგნი მეორე—ჩვენი საზოგადოებრივობა. გვ. 151.

ერთმანეთს. აიღეთ, მაგალითისათვის, ვლადიმერ გალიცკის ლოთიფაშური ხასიათი და შეადარეთ მის ვოკალურ ფრაზებს (პირველი მოქმედების პირველი სურათი), მთელი ეს სურათი ნამდვილი განხორციელებაა საქეიფო ღრიანცელისა და რუსული „ბრაჟნიჩესტვო“-სი. მეორე სურათში დაპირისპირულია იმისი დის იაროსლავნას კაეშნით მოცული; მანდილოსნური სადარბაისლოთ აღვსილი პიროვნება და ვლადიმირის თავაშვებული ცინიზმი და ქამობა. აქვეა შესანიშნავი ხორო ქალებისა, რომელთა სიტყვა-პასუხი იშვიათის რეალიზმით არის გადმოცემული როგორც ვოკალური ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით, ისე ორკესტრის ილიუსტრაციებით. ჯერ გაისმის თითო-ოროლა გაუბედავი სიტყვა ქალებისა და შემდეგ ერთად ახმაურდებიან და ამ ხმაურში განხორციელებულია დედაკაცური დაკლავლავი.—ამავე სურათში ბოიართა ხოროს ჰანგი ისეა დაწყობილი რომ ნამდვილი მაუწყებელია უბედურებისა, თუნდაც სიტყვები სრულიად არ ისმოდეს.—და ყველაფერი მთელ ამ მოქმედებაში (ორივე სურათი და პროლოგი) თავანკარა რუსული იერისა.

ეს გარემოება ჩვენ იმიტომ აღვნიშნეთ, რომ შემდეგ მოქმედებაში მსმენელი ყივჩაყთა ბანაკში გადადის და აი აქ—ბოროდინის მუსიკაც სრულიად იცვლება, რადგანაც აქ ხალხი სულ სხვა რასისაა და ადგილ-მდებარეობაც ეგზოტიურია.—ამ მოქმედებაში მუსიკა მთლად აღმოსავლური იერისაა (გარდა კნიაზ იგორისა და მისი შვილის სასიმღეროსი). მოქმედება იწყება ყივჩაყ-ქალიშვილის სიმღერით, რომელიც მთლად გაჟღენთილია სამხრეთული ვნებით და მინელებული ცეცხლივით ეგზნება. ასეთივე ხასიათისაა კონჩაკის ასულის კავატინა დაბალ ტონზე დაწერილი. შესანიშნავია თავისი ჩუქურთმული ხმათა წყობით ყივჩაღელ ქალთა პატარა საცეკვაო ჰანგი რომელიც თითქოს დაღესტნურ ლეკურს მოგაგონებთ. ყველა ამას სრულიად განესხვავება რუს-ტყვეთა სასიმღერო ჰანგი თავისი რუსული იერით; აგრეთვე იგორის შვილის-ვლადიმირისა და თვით იგორის სასიმღერო ჰანგები. ვლადიმირის და კონჩაკის ასულის დუეტს, რომელშიაც გადახლართულია აღმოსავლური და რუსული (უფრო-კი ეკლექტიური) მელოდია, მეტის-მეტად ორგინალურია სწორედ ამ ორი ელემენტის შეთავსებით.—იგორის დიდი არია ნამდვილი რაინდული პათოსის გამომხატველია და ლირიკულ ადგილებში გლინკას მელოდიურობამდე აღწევს.—რასაკვირველია ეს არია წმინდა ანარეკლია რუსული მუსიკისა, ამას სრულიად ეწინააღმდეგება თავისი ხასიათით კონჩაკის მელოდიურ რეჩიტატივად დაწერილი კონჩაკის დიდი არია. კონჩაკიც დიდი რაინდული პიროვნებაა, როგორც მუსიკა გვიხატავს, მაგრამ იგი სრულიად განესხვავება რასიულად გმირ—იგორს და ეს ანტიპედობა სწორედ მუსიკით არის დასურათებული.. არ ვიტყვით, რომ თვითეული ფრაზა კონჩაკისა—აღმოსავლური ხასიათისა იყოს, მაგრამ მუსიკალური ფიგურაციების საერთო შენახულობა ამ იერით არის მოსილი. ამ მოქმედებაში (მე-3) არის დიდი შესანიშნავი ბალეტი, რაც,—სტატიკურ სახეებად რომ წარმოვადგინოთ ბგერანი,—შეუდარებელი, ფანტასტიურად დახლართულ ორნამენტად გადიშლება ჩვენს წინაშე.—

მეოთხე მოქმედებაში კომპოზიტორი კვლავ უბრუნდება რუსულ მელოდიას და აქ ეს მელოდია უებრო გამოხატულობას ჰპოვებს იაროსლავნას ჰანგში, რომელსაც ეწოდება „იაროსლავნას გოდება“ და ხოროს სასიმღეროში, რომელიც აღსავსეა ხალხის ისეთი ჩუმი მწუხარებით, რომ ცრემლს იწვევს. ეს ორი ელემენტი ამ მოქმედებისა იმდენად ძლიერია და გრძნობა-ამშლელი, რომ დანარჩენი ნაწილი და სალიტანიო საფინალო მარში მსმენელზე ველარ მოქმედობს სათანადო მეტყველებით.—

საგაზეთო რეცენზიით და, საერთოდ, სიტყვით ვერ ამოიწურება მთელი მშვენება და სიდიადე ამ შესანიშნავი მუსიკალური ნაწარმოებისა. და თუ ყველაფერს ზემონათქვამს იმასაც დავუმატებთ, რომ ამ ოპერაშივე შეტანილია რუსული დრამატიული ოპერისათვის სრულიად ახალი რამ—სახელდობრ კომიკური ელემენტი,—რომელსაც გამოხატავენ მეფანდურენი სკულა და ეროშკა და რომ ეს კომიზმი დასევადებულია ნამდვილი რუსული იუმორით,—მაშინ შეიძლება ითქვას, რომ თავისი მთლიანი სტილით, მუსიკის მრავალფეროვანობით, ტიპების მხატვრული ასახვით და ეროვნული იერით,—„კნიაზ იგორი“ რუსულ მუსიკალურ ლიტერატურაში უდიდესი ქმნილებაა.

რაც შეეხება ჩვენს სახელმწიფო სცენაზე ამ ოპერის დადგმას (თებერვლის 2-ს). უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი უფერული იყო. ჯერ ერთი ოპერა ჩვეულებრივი ტრაფარეტით დაიდგა, როგორც მიზანსცენებისა, ისე მოწყობისა და სამკაულის მხრით. დეკორაციები იმდენად მოძველებულია, რომ ნახატი ტილო უკვე ნაოჭებად ასხმულა და არავითარი მსგავსება აღარა აქვს იმ საგნისა, რომელსაც უნდა გამოხატავდეს,—სახლი იქნება იგი, თუ ხე, ან სხვა რამ. ამხრივ კიდევ არა უშავდა რა ყივჩაღთა ბანაკს, სადაც კარვების ნახატებს კიდევ შერჩენიათ წინანდელი ელფერი.—

იგორის პარტიას მღეროდა ვას. **შარაშიძე** და თავისი ხმის ძლიერება გვიჩვენა უაღრესი გამომეტყველებით. გარეგნობითაც რაინდული იერი სდევდა. მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ, ჩვენის აზრით, ეს პარტია მისთვის მაღალია. რასაკვირველია, მომღერლის მშვენიერი ხმა სძლევს ამ დაბრკოლებას, მაგრამ არა იმ ზომამდე, რომ შესძლოს ნიუანსების მოცემა, ბგერათა განსხვავფერება. პარტია, უეჭველად, დაწერილია ბარიტონისათვის და იშვიათად თუ ბასმა იკისროს მისი შესრულება. ყოველ შემთხვევაში, შარაშიძე ძალიან მოეწონა საზოგადოებას, რომელმაც ტაშისკვრით აღნიშნა მომღერლის მიერ იგორის დიდი არიის შესრულება.

მშვენიერი კონჩაკია ბ-ნი **ისეცკი**—გარეგნობით, თუ სიმღერით. ადგილ-ადგილ იძლევა მეტის-მეტად მეტყველ ფრაზას და საერთოდ მხატვრულ სახეს ჰქმნის კონჩაკის რაინდული პიროვნებისას.

ნაკლებად დაგვაკმაყოფილა ბ-ნმა **საბინინმა** ვლადიმირ გალიცკის როლში. არაბუნებრივობა ეტყობოდა როგორც ხმაში ისე როლის გარეგან გადმოცემაში. არა ჰქონდა გაშლილი დარდიმანდული იერი ამ თავზე ხელაღებულ მოქეიფე რუსი—თავადისა.

ვანო **სარაჯიშვილი** ხმაზე ვერ იყო და ვლადიმირ იგორიევიჩის პაწია პარტია უფერული გამოვიდა.

ძალიან კარგები არიან **დემიანენკო** და **კურბატოვი** ეროშკას და სკულას როლებში. ცოტა არ იყოს, მეტ მარილს აყრიან თავიანთ კომიზმს, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ არავითარი საერთო გეგმა და მიზანსცენები არა ყოფილა განთვალისწინებული ამ ოპერის დადგმის დროს. ყოველ შემთხვევაში ეს არაფერში არა სჩანდა თებერვლის 2-ს წარმოდგენაში.

რასაკვირველია, იაროსლავნას როლისათვის ქ-ნი **მაზოვეცკაია** მეტის-მეტად ახალგაზრდაა როგორც წლოვანებით ისე არტისტიული გამოცდილებით. ხმაც უაღრესად ლირიული აქვს ამ პარტიისათვის, განსაკუთრებით „იაროსლანას გოდებისათვის“.

ძალიან მოსაწონნი იყვნენ ქ-ნნი **სტრიჟენოვა** და **ექსანიშვილისა** პირველი კონჩაკის ასულის და მეორე ყივჩაღ-ქალის როლებში.

ამრიგობაზე **მოისეევის** უნარიანობამ გაიმარჯვა და ბალეტმა თავი ისახელა. ასეთი მოხდენილი განსახიერება „კნიაზ იგორის“ შესანიშნავ საცეკვაო მუსიკას ჩვენს საოპერო სცენაზე ჯერ არ უნახავს. იყვნენ შესანიშნავი იუმორით აღსავსე ფიგურები და ჯგუფები და ვნახეთ ორიგინალური კომბინაციები ლამაზი ცეკვისა.

ვანო **ფალიაშვილი** ჰლოტბარობდა ოპერას ჩვეულებრივის ექსპრესიით და აღლოთი. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო.

**ინენ.**

## ძუკუ ლოლუას

ანიშნებს ძმობას—და მწყობრი ხმები
ეხვევა მსმენელთ—იფანტებიან.
ოდიშის ველი, ჭალა და მთები
მაგ სიმღერებში იხატებიან.

და მტკიცე ნებით მთათ ანარეკლი
ზღვაურის ხმობა, მშობლის ნანინა
ღრმად ჩაგვწვდა გულში ვით ზღვის ნაქლები—
და იქ სარწმუნო—დაიდგა ბინა.

ქართლს უყვარს სევდა და ჭმუნვის ლექსი,
შენ რომ აჰკინძე, ოდეს მოხვედი.
დაგვირჩი დიდი და უკეთესი,
უკეთესების წინამორბედი.

**იასამანი.**

## უსათაურო ლექსები

1.

დაისაბუდრა სევდამ ეს გული,
ყინვამ დაჰფარა გრძნობა და ჭკუა.
ახ ვისა ვძულვარ? ვინ მყავს ერთგული?
ვინ მართალი სთქვა? ვინ მომატყუა?..
განსრულდა ჟამი და მოიწია
ბინდ-ბუნდი ღამის გაუთენების...
ნუ თუ ჩემს თავზე ესდენ ბიწია,
რომ აღარ მესმის ხმა გათენების?!..

2.

წარსულთა დღეთა საფლავთა ზედა
დადის გრიგალი ზათქით და ზარით
და ჩემი გულიც თან დაჰყავს ტყვედა,
და ჩემი გულიც ზარხდომით არის.
რამდენი გული შაჭამა მიწამ,
მაგრამ რამდენი ფეთქავენ ისევ!..
ო სიცოცხლეო, კვლავ შენა გფიცავ!
სიკვდილის ფიქრებს ნუ წამომისევ?

3.

ჩემში თარეშობს ნისლი შავ ფიქრთა,
როგორც ზამთარში მგლის ხრო თრიალეთს.
და ბნელი ქარის ბნელ-წყვდიადი ფრთა
თოვლებს აჯანყებს და ატრიალებს.
ნეტა გადავდნე მე გაზაფხულად,
ჩემს გულს ამოსტყდეს ვარდი და ია!
ვაი თუ დამრჩეს იგივე წყლულად,
რაც აქამომდე წყლულად მატყვია?!.

4

მაგრამ რაც უფრო ზამთარი მკაცრად
დააჭკნობს გრძნობებს—მინდვრებს მთებიან,
გაზაფხულის ჟამს—ქცეულნი ნაცრად—
უფრო ლამაზად აჰყვავდებიან,
დეე დააჭკნოს ეს გულიც ამად!
დეე დააჭკნოს სურვილიც მალედ!
ის გაიშლება უფრო თამამად!
ის გაიშლება უფრო ბრწყინვალედ!

**ი. მჭედლიშვილი**

# შალვა დადიანის იუბილე

**რუსთაველის თეატრი. თებერვლის 3.**

დარბაზი თეატრისა ხალხით გაჭედილია. არც ერთი თავისუფალი სკამი. ყველა კუთხეები უკავია ფეხზე მდგომ ხალხს. ბევრი უბილეთობის გამო უკან ბრუნდება.

მიდის პირველი მოქმედება პიესის „გეგეჭკორი“. გამოჩნდება იუბილიარი დადიას როლში, მქუხარე ტაშისცემაში იკარგება პირველი სიტყვები.

პიესის დადგმას აჩნია ჯადოსნური ხელი მარჯანიშვილის. განსაცვიფრებელია თვით იუბილიარი დადიას როლში. ბევრჯერ გვინახავს შალვა დადიანი სცენაზე და არას დროს ასეთი შეუდარებელი ამსრულებელი.

ყურადღებას იპყრობდა აგრეთვე სტუდიელი აკ. ხორავა. „გეგეჭკორი“-ს შემდეგ მიდის პირველი და მეორე მოქმედება იუბილიარის პიესის „გუშინდელნი“.

ეს პიესაც საუცხოვოდ ჩატარდა. პირადათ რომელიმე მსახიობის დასახელება ზედმეტათ მიგვაჩნია, რადგან ყველანი საუცხოვო ამსრულებელი იყვნენ.

იხსენება საზეიმო სხდომა განათლების კომისარიატის სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარის გრიგოლ რობაქიძის თავმჯდომარეობით.

ვალ. გუნიას და ეფ. მესხს შემოყავთ იუბილიარი, რასაც მოყვება დაუსრულებელი ტაში.

იუბილიარს პირველ მისასალმებელ სიტყვას ეუბნება მთავრობისა და საქართველოს აღმასრულებელ კომიტეტის წარმოდგენილი კარპე მოდებაძე, რომელიც გადასცემს იუბილიარს ოქროს „პორტსიგარს“, განათლების კომისარიატის, სახელოვნო კომიტეტის, ახალ მწერლობის სახელით ესალმება გრიგოლ რობაქიძე. განათლების კომისარიატის სახელით გადასცემს 50მილიონს. აკადემიურ თეატრების მმართველობისგან ა. წუწუნავა მიართმევს გვირგვინს. ქალ. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებული გადასცემს 50 მილიონს. **სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს** სახელით იუბილიარს ესალმება დ. ლიხელი და განაცხადებს, რომ საბჭომ იუბილიარი აირჩია კავშირის საპატიო წევრად როგორც ერთი დამაარსებელთაგანი მწერალთა კავშირისა და მის სურათს დაკიდებს საბჭოს დარბაზში.

სრ. საქ. ხელოვანთა კომიტეტის სახელით ულოცავს პ. იაშვილი. პროლეტ-კულტისა და პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მხრივ ლექსით მიმართავს სანდრო ეული, პროლეტკულტის მხრივ მიუძღვნის 30 მილიონ მანეთს.

სიტყვები წარმოსთქვეს: წერა-კითხვის საზოგადოების წარმომადგენელმა ვ. ბურჯანაძემ, პირველ კონსერვატორიის წარმომადგენელმა ზ. ფალიაშვილმა, ბათომის და ქუთაისის დასის სახელით ვალერიან გუნიამ.

მეორე კონსერვატორიის წარმომადგენელი აცხადებს, რომ კონსერვატორიაში იუბილიარის სახელზე ინიშნება ერთი სტიპენდია.

სიტყვებს ამბობენ: ჭიათურის, ახალციხის, ბაკურციხის, სახალხო სახლის, ნაძალადევის და სხვათა წარმომადგენელნი. სამწუხაროდ სხდომის თავმჯდომარე ყველას სახელებს არ ასახელებდა, რაც ხელს გვიშლის აღვნუსხოთ ყველა წარმომადგენელთა სახელები.

საერთოდ ყველა მიმლოცველები აღნიშნავდენ იუბელიარის მრავალ მხრივ მოღვაწეობის დარგს: როგორც მწერლისას, არტისტისას, დრამატურგისას, რეჟისორისას და იშვიათ ორგანიზატორისას საზოგადო საქმეებში. ერთხმად იყო ხაზგასმული, რომ იუბილიარს არ დაუტოებია საქართველოს არც ერთი დაბა-სოფელი, რომ იქ წარმოდგენა არ გაემართოს. აღნიშნავდენ იმ დიდ ნაყოფიერებას საზოგადო ასპარეზზე, რომელსაც იუბილიარი ეწეოდა ოცდაათი წლის განმავლობაში, მის მიერ მოგზაურ დასის დაარსებას და სხვა.

დასასრულ იუბელარმა გამთბარი გრძნობით სავსე სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ თუ დღემდე მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ორათ იყო გაყოფილი, როგორც მწერლისა და მსახიობის, ამიერიდან მისი გულითადი სურვილია მთელი თავისი ძალღონე და შემოქმედებითი ნიჭი მოახმაროს მწერლობას.

საზეიმო სხდომამ გასტანა ღამის ორ საათამდი, რის შემდეგ „კაფე „მეფისტოში“ გაიმართა ბანკეტი.

**მეთვალყურე**

რუსული წერა-კითხვა!“ ნამდვილ განათლებაზე ვინ ფიქრობდა. ურუსულოდ ფეხს ვერ გადააბიჯებდით წინ, რუსულით და ჩინოვნიკური კუდის ქიცინით ჩინს გაიკრავდით და ქონებას შეიძენდით. ამ გვარად სდევნიდა რუსული ქართულს საზოგადო ცხოვრების ასპარეზიდან

ამ ნაირად შეიქმნა პირობები საერთო ზნეობრივი დაცემის, ბეზღობის, ვერაგობის, მექრთამეობის, ცარცვა-გლეჯის და სხვა გვარი საზოგადოებრივი გარყვნილებისათვის. დაბალი გაჭირვებული ხალხი კი მუდამ ხმაგაკმენდილი იყო და ჭაპანწყვეტით ზიდავდა ძალმომრეობის და დამდაბლების უღელს. საზოგადოებაში ქება-დიდების ხმა უვარდებოდა გაიძვერა ადამიანს—რუსულის მცოდნეს და ვერაგობით და მოტყუებით გამდიდრებულს. ასეთი „ორი ღერი რუსულის“ ცოდნა განათლების გვირგვინით დაიარებოდა, რომელსაც საზოგადო ხმა, დამფრთხალი, გალაჩრებული და უხასიათო, მიწასთან კი არ ასწორებდა, პირიქით კრძალვით და პატივით იხსენიებდა, მართლა „გავირყვენით და დავეცით“ აი როგორ შეეძლო მოკლედ დაეხასიათებია თავის-თავი მაშინდელ ქართველობას.

რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებშიც მიდიოდენ ქართველები. აქედან იწყებოდა ნამდვილი, თუ შეიძლება ითქვას „იდეური“ რუსეთუმეობა, გადაგვარების და გადაერების მატარებელი. უნივერსიტეტ გათავებულები, გადაგვარებულნი სულით და გულით, უბრუნდებოდენ ჩვენს მცონარე საზოგადოებას, მაგრამ მათი სამოღვაწეო „პროგრამა“ მას მაინცა და მაინც არ მოსწონდა. „მაღალი განათლებით“ აღჭურვილთა და საზოგადოებას შორის დიდი გაუგებრობა და ყრუ ბძოლა დამყარდა. მათ შორის შეიძლება ბევრს კეთილი სურვილები ქონდა, „მაღალ მატერიებზე“ ფიქრს არ იშლიდა, საზოგადოებისათვის კარგი სწადდა, მაგრამ ბოლოს მათ არაფერი გამოუვიდათ, საზოგადო საქმეებისათვის მომზადებული არ იყვნენ, სამსახურისთვის უფრო ვარგოდენ და ბოლოს ამ საადვილო, უწყინირ და პირადად გამოსადეგ ასპარეზს დაადგენ.

რუსეთელებს ჩვენი შინაური ცხოვრების აღარაფერი მოსწონდათ. საზოგადოებრივი ურთიერთობის უფერულების მიზეზებს აღარ ჰკითხულობდენ, დასცინოდენ ყველაფერს გაუფრთხილებლად, აღარც ცა და ხმელეთი უნდოდათ ჩვენი, აღარც ზნე-ჩვეულება, აღარც ენა და ეროვნული ვინაობის შენარჩუნება. ამ გვარი უცნაურობა და თითქოს გაუგებარი უარმყოფელობა თავიდანვე დააჩნდა ჩვენს საზოგადოებრივ ვითარებას, თავიდანვე შეიპარა ხალხის საზოგადოებრივ სხეულში, როგორც მავნე ბაცილა.

ისინი სულ სხვაგან იხედებოდენ, უცხოეთის მაგალითით უჭედავდენ ყველას ყურებს, ეჩოთირებოდათ მთელი ჩვენი ცხოვრება. სულ რუსეთის ცხოვრების დამზგავსებაზე ლაპარაკობდენ. იმას კი არ დაგიდევდენ, რამდენად შესაძლებელი იყო რეალურათ მათი აზრების განხორციელება, რა ობიექტიურ შედეგს მოიტანდა ხალხის თავის თავზე ხელის აღება. ერთი სიტყვით მათ ქადაგებასა და ფიქრს საზოგადოების ცხოვრებასთან ნამდვილად არა აკავშირებდა რა. „ყველგან მათსა და საზოგადოებას შორის იმ თავითვე ჩამოვარდა დიდი უთანხმოება. ისე დაიბნა გზა და კვალი, რომ საზოგადოებას მათი არა ესმოდა რა და ამათ კიდევ საზოგადოების“. ისინი როგორც საზოგადოების ჭკუის მასწავლებელნი გარიყულნი დარჩნენ, მაგრამ არ დაახანეს, რომ მაშინათვე შერეოდენ სამსახურის და ჩინის მაძიებელთა ვეებერთელა მორევს*).

ასეთი იყო მაშინდელი მდგომარეობა, რომელიც მაჯლაჯუნასავით დასწოლოდა ქართველი ხალხის ნაციონალურ საზოგადოებრივობას და ხუთავდა ქართულ გრძნობასა და აზროვნებას.

ვინც გადაათვალიერებს ორიოდე მაშინდელ ქართულ გამოცემას, რომელსაც ჩვენამდე მოუღწევია („საქართველოს გაზეთი“, „ქართული გაზეთი“, იგივე „წმინდა გიორგი“), თვალნათლივ დაინახავს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების წარმომადგენელთა დაქვეითებას, მის უსახურობას და გაუკანასკნელებას. აქ სახელები კი ქართულია, მაგრამ მაჯისცემა სულ შეწყვეტილია, პირქვე დამხობილია ეროვნული ცნობიერება, შერყვნილია ენა და გრძნობა. აქ მოჩვენებაც აღარ არის საქართველოს რაობის, ქართველი ხალხის ვინაობის. აღარც წარსული იხატება, აღარც თანამედროვება.

ეს ის დროა, როცა ილაჯ-გაწყვეტილ ერს თითქოს ენა ჩაუვარდა მუცელში და ხმა-ამოუღებლივ დაემორჩილა უხეშ ძალას. ეს ის ხანაა, როდესაც ერი „თავბრუ-დასხმულსავით გარინდებული იყო და საქვეყნოდ არც ხალისი, არც ღონე არ გამოუჩენია არც უკან მიხედვისათვის, არც წინ დანახვისათვის, თითქო დიდი ნისლი მოხვევია და ელის, აცა გადიყაროსო, ან თავ-ზარი დასცემია და გამოურკვეველ ელდას შეუკრავსო*).

სოლომონ დოდაშვილის „ტფილისის უწყება“ (1832 წ.) დიდს წინსვლას მოასწავებს ქართველი ერის საზოგადოებრივი აზროვნების აღორძინების ისტორიაში. მაგრამ აქ კიდევ უფრო მკაფიოდ გამოისახა ჩვენი საზოგადო ცხოვრების ძირითადი სატკივარი, მაშინდელი მოწინავე თაობის პოლიტიკური აზროვნების ბორძიკი და ქანაობა. ერთის მხრით „რუსეთის ხელმწიფე და საქართველოს მფლობელი“ და მისი თაყვანისცემა, მეორეს მხრით ქართველი ერის სამსახური, მის განთავისუფლებაზე ფიქრი და ზრუნვა, ქართული მწერლობა და ქართული მოღვაწეობა. ქართველ ინტელიგენციას, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ ს. დოდაშვილი, დ. ყიფიანი, გიორგი და ზაქარია ერისთავნი, ვახტანგ, გრიგოლ და ალექსანდრე ორბელიანები და მრავალი სხვანი, ეს წინააღმდეგობა უნდა მოერიგებია თავის ბუნებაში. ეს იყო სათავე ქართველი ხალხის და ინტელიგენციის სულის უდიდესი ტრაღიდიისა მთელ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში.

ცნობილ შეთქმულობიდან, როგორც ითქვა, არაფერი გამოვიდოდა რა. დაიმსხვრა იმედები მოწინავე თაობისა, რომელმაც განიზრახა ეროვნული მონობის უღლის თავიდან მოცილება ერთხელ და სამუდამოდ. ტრაღედია სულიერი წინააღმდეგობის და გაორმაგების ძალაში დარჩა. უფრო ნათლად გამომჟღავნდა მხოლოდ ეროვნული მწუხარების მთავარი მიზეზი, ნათელი გახდა ის ტკივილი სამშობლოს განთავისუფლებისათვის, რომელიც ყოველი ცრობიერი ქართველის გულის სიღრმეში იყო მიმალული და აკვნესებული. შეთქმულობის ჩაშლამ და შეთქმულთა დასჯამ კიდევ უფრო გააძლიერა შიში და მორჩილება, რომელიც თანდათან ტრადიციულ ძალად ხდებოდა და ხშირად, ნებრით თუ უნებლიეთ, ეროვნულ უარმყოფელობამდე მიდიოდა.

თვითპყრობელობამ ეროვნულად მოაზროვნენი დატუქსა და შეაშინა. ხოლო თავადაზნაურობა, რომელიც წოდებრივად განაგრძობდა პირველობას ცხოვრებაში, მოიშინაურა და დააყენა გადაგვარების გზაზე. რადგანაც სხვა და სხვა გარემოების ძალით ქართველ მოღვაწეთა უდიდეს ნაწილს შეადგენდენ თავადაზნაურულ წოდებიდან გამოსულნი. თვითპყრობლური ხელისუფლება თავადაზნაურობის მოშინაურებით ფიქრობდა (რა თქმა უნდა, ამაოდ) ყოველგვარ ნაციონალურ საქმიანობის აღმოფხვრას. მეტად დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ მეოცდაათე წლების შეთქმულების თითქმის ყველა მონაწილე დასჯის და შენდობის შემდეგ მთავრობის დიდ პასუხსაგებ სამსახურში გამწესდა.

ამნაირად ქართველი ინტელიგენცია თავის მდგომარეობით, ისტორიულად იძულებული შეიქნა გულის კვნესა დაეყუჩებია, გამხდარიყო ორაზროვანი და ორსახიერი, მოენახა მალამო, ერთგვარი ანესტეზია ტკივილისა. ასეთი მალამო იყო ეროვნული ნიღილიზმი (არ. ჯორჯაძე).

ეს ორპიროვნება, ორ-სახიერება მომდინარეობს აქედან. მას იძლეოდა სამშობლოს სიყვარულის და ტახტის ერთგულების უკანონო, უბუნებრივო შეზავება, რომლის კვალი და გავლენა დიდად ამჩნევია ჩვენს წარსულს ცხოვრებას და ჩვენს მწერლობას.

**პანი.**

*) იხ. „საქართველოს მოამბე“. 1863 წ. იანვრის წიგნი. „სხვა და სხვა ამბავი“.

*) ილია ჭავჭავაძის წერილიდან, იხ. „ლექსები ვახტანგ ორბელიანისა“, ტფილისი, 1894 წ. გვ. XIII.

# ქრონიკა

**ლიტერატურული ხუთშაბათი**

**ხუთშაფათს, თებერვლის 15-ს ტრადიციული ხუთშაფათი გაიხსნება აკაკის საპატივსაცემოდ;**

**აკაკის მოგონება**

**სრ. საქ. მწერალთა კავშირის საბჭომ დაადგინა კვირას, თებერვლის 18-ს დაფვნის გვირგვინი დაადგას აკაკის ძეგლს. ამისთვის მოწვევის ბარათები დაეგზავნება ყველა რედაქციებს და კულტურულ დაწესებულებებს.**

**„აბესალომ და ეთერი“**

ამა თებერვლის 21-ს სახელმწიფო საოპერო თეატრში დანიშნულია მეასე წარმოდგენა **„აბესალომ და ეთერისა“.**

წარმოდგენას საზეიმო ელფერი ექნება, რადგანაც ოთხი სეზონის განმავლობაში ერთსა და იმავე ქალაქში, თითქმის ერთი და იმავე მომღერლების მონაწილეობით ოპერის ასჯერ დადგმა დიდი რეკორდია.

დირექციას განზრახული აქვს ეს დატა გამოჩინებით აღნიშნოს, როგორც ქართული კულტურის დიდი მიღწევა და გამარჯვება.

რაღა თქმა უნდა საზოგადოება და დაწესებულებანი სათანადო ინტერესით შეხვდებიან ამ სადღესასწაულო წარმოდგენას.

**ვიქ. დოლიძის გამოსათხოვარი საღამო.**

კომპოზიტორი ვიქტორ დოლიძე საზღვარ გარეთ გამგზავრების გამო თებერვლის თოთხმეტს სახელმწიფო სარპერო თეატრში მართავს გამოსამშვიდობელ საღამოს. დადგმულ იქნება: ლეილა I—II მოქმ. ქეთო და კოტე. მეორე მოქ. და ადგილები ახალ ოპერიდან „ცისანა“.

**ქართული მუსიკის საღამო.**

ახლო მომავალში ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება ჰმართავს თავის პირველ კონცერტს—ქართულ მუსიკის საღამოს. კონცერტზე შესრულებულ იქნება ქართული სახალხო მოტივები და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოები, ასეთი კონცერტების გამართვა საზოგადოებას განზრახული აქვს სისტემატიურად. საღამო გაიმართება ხელოვანთა სასახლეში.

**შალვა დადიანის სახელობის სტიპენდია.**

შალვა დადიანის იუბილეის აღსანიშნავად მეორე სახელმწიფო კონსერვატორიამ დანიშნა შალვა დადიანის სახელობაზე. ერთი სტიპენდია.

**სახელმწიფო უნივერსიტეტში.**

მიმდინარე წელს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოუშვებს პირველ რიგს უნივერსიტეტში სწავლადამთავრებულ ექიმებისას. სჯექიმო ნაწილს ასრულებს 70 სტუდენტი.

**პრ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება.**

დამსახურებული პროფესორი ივანე ჯავახიშვილი მოკლე ხანში აპირებს საჯარო მოხსენების წაკითხვას თავის მიერ ახლად აღმოჩენილ მეექვსე საუკუნის ხელთნაწერების შესახებ.

**სახელმწიფო გამომცემლობა.**

სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობის გასაცხოველებლად მთავრობამ გადასდო ხუთი მილიარდი.

**საავტორო ჰონორარი.**

სახელმწიფო გამომცემლობას შეუმუშავებია საავტორო ჰონორარი ორიგინალურ ლექსისა, პროზისა და სხვა დარგის ნაწარმოებისათვის. ჰონორარი შემუშავებულია აგრეთვე თარგმნელ ლიტერატურისათვის.

**სარედაქციო კოლეგია**


**ოპერის თეატრი**

კვირას, თებერვლის 11-ს

**მთავარი იგორი**

დასაწყისი საღ. სრულ 8 ს.

**რუსთაველის თეატრი**

კვირას, თებერვლის 11-ს

**ოტელო**

დასაწყისი საღ. სრულ 8 ს.

**იყიდება სახლი** 7 ოთახი მიწა 80 საჟენი, არის კანალიზაცია, ეზოში მცენარეები და ძროხისათვის ბინა. დაუცლი 2—3 ოთახს ან მთლათ სახლს. შეიძლება ნახევარ შენობის გაყიდვა. მისამართი: **1 უბ. პეტროვის შესახვევი № 18.** პირადათ მოლაპარაკება 4—6 საათამნის.

**ბაკურიანის რკ. გზაზე**

**მატარებელთა მიმოსვლის შემცირება**

მცხოვრებთა რაოდენობის სიმცირის გამო სამგზავრო და საფოსტო მატარებელთა № 3 და 4 ყოველდღე მიმოსვლა ბაკურიანის ხაზზე ზედმეტია, და ამიტომ 5 თებერვლიდან **ეს მატარებლები ივლიან კვირაში ორჯერ** ამ ჟამად მოქმედ ცხრილის მიხედვით. მატარებელი № 3 გავა ბორჯომიდან ოთხშაბათობით და კვირაობით. მატარებელი № 4 გამოვა ბაკურიანიდან ბორჯომში იმავე დღეებში, ამისდა მიხედვით საბარგო მატარებელს № 852|853 მიებმება თითო საკლასო ვაგონი ბაკურიან-ბორჯომს შორის ყოველ დღე, სამგზავრო ბილეთების გაყიდვით.

**ამიერ კავკასიის რკინის გზა**

**ჩქარი კურიერის მატარებელი №№ 1 და 2**

**ბათომს და ბაქოს შუა დაიარება**

| კვირაში ორჯერ | № 1 | |
|---|---|---|
| **ბათომიდან** | **ტფილისიდან** | **ბაქოში** |
| ოთხშაბათს . . . . . / შაბათს. . . . . . . — 14 ს. 20 წ. | ხუთშაბათს . . . . . / ორშაბათს. . . . . — 9 ს. 25 წ. | პარასკევს. . . . . . / სამშაბათს. . . . . . — 8 ს. 25 წ. |
| | **№ 2** | |
| **ბაქოდან** | **ტფილისიდან** | **ბათომში** |
| ოთხშაბათს . . . . . / შაბათს. . . . . . . — 19 ს. 10 წ. | ხუთშაბათს . . . . . / კვირას . . . . . . . — 21 ს. 00 წ. | პარასკევს. . . . . . / ორშაბათს. . . . . . — 12 ს. 05 წ. |

**მატარებელში არის საწოლი და საჯდომი ადგილები პლაცკარტებით. დაცულია ყოველი სისუფთავე. განათებულია ელექტრონით და დაყვება ცალკე ვაგონ-რესტორანი.**

ბილეთების აღება და ადგილები როგორც რბილი დასაჯდომი, ისე მაგარ დასაჯდომებზე უზრუნველყოფილია.

**სასურსათო კომისარიატის**

**საფეიქრო ქარხანა** (ვორონცოვის ქუჩა № 58—ორთაჭალა)

იღებს შეღავათიან ფასებში ძველეულს მოსათელავათ, დასაწმენდათ და შესაღებავათ წმინდა ქიმიურ საღებავით.

**აგრეთვე ღებავს,** როგორც ბამბის ისე აბრეშუმის ნაქსოვებს და ნართავს.

**იქვე იყიდება ქარხნის ნაწარმოები მაუდი**

სხვა და სხვა ფერების სარფინკები, ოკსფორდი, შოტლანდკა და სხვა.


ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიული განყოფ. 1-ლი სტამბა, პლეხანოვის ქ. № 91. ნებადართულია ცენზურის მიერ. ტირაჟი 1300